ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 68

ქალაქი ქუთაისი 7 ივლისი 2023 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63–ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს**:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23.01.2018, №90020020.35.123.016426), კერძოდ, შეიცვალოს დადგენილების №2 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(№2 დანართი წინამდებარე დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
№ 13

ქალაქ ქუთაისის 2023 წლის 7 ივლისის

№68 დადგენილების დანართი № 2

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა

ნ უ ს ხ ა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია 13 მოსამსახურე. მათ შორის:

1. საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი – 2 ერთეული;
2. საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე – 1 ერთეული;
3. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანაშემწე – 1 ერთეული;
4. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე – 2 ერთეული;
5. მოწვეული სპეციალისტი – 6 ერთეული;
6. დამხმარე მოსამსახურე – 1 ერთეული.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია